

**პაპი ფრანცისკეს მიმართვა
წმინდა საყდართან აკრედიტებული დიპლომატიური
კორპუსისადმი ახალი წლის მისალოც ტრადიციულ შეხვედრაზე**

*რეტას დარბაზი
ორშაბათი, 9 იანვარი, 2017 წ.*

„ცნობილია, რომ რელიგიური მოტივით უამრავი ძალადობრივი აქტი ჩადენილა, დაწყებული თავად ევროპიდან, სადაც ქრისტიანებს შორის დაპირისპირება ძალზე დიდი ხანი გრძელდებოდა. შვედეთში ჩემი ახლანდელი ვიზიტის დროს განვაცხადე, რომ აუცილებელია წარსულის წრილობების მოშუშება და საერთო მიზნებისკენ ერთობლივი სვლა, რისი საფუძველიც შეიძლება იყოს მხოლოდ ჭეშმარიტი დიალოგი სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს შორის. ამგვარი დიალოგი შესაძლებელი და აუცილებელია. სწორედ ამის ჩვენება მსურდა კუბაზე მოსკოვის პატრიარქ კირილესთან შეხვედრით და ჩემი სამოციქულო მოგზაურობებით სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში, სადაც ვიგრძენი ამ ხალხების კანონიერი სწრაფვა კონფლიქტების გადაჭრისაკენ, რომლებიც უკვე მრავალი წელია საფრთხეს უქმნიან სოციალურ ჰარმონიასა და მშვიდობას.“

(პაპი ფრანცისკეს მიმართვა წმინდა საყდართან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისადმი, ახალი წლის მისალოც ტრადიციულ შეხვედრაზე, რეტას დარბაზი, სამოციქულო სასახლე, ვატიკანი, ორშაბათი, 9 იანვარს, 2017 წ.)